

16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

დამხმარე ინსტრუქცია
მუნიციპალიტეტებისთვის



საქართველოს ადგილობრივ მკითხველთა ეროვნული ასოციაცია
ნოემბერი 2021



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



სარჩევნი

ინფორმაცია კამპანიის შესახებ	3
ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა: ძირითადი საკითხები	3
რეკომენდაციები მუნიციპალიტეტების მიერ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ	5
16 დღიანი კამპანიის ძირითადი საკომუნიკაციო გზავნილები	8
დანართი 1.	9

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა), გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გეგმავს მხარი დაუჭიროს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ჩაერთონ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან გლობალურ კამპანიაში და სთავაზობს დეტალურ ინსტრუქციას 16 დღის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

ინფორმაცია კამპანიის შესახებ

16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, რომელსაც დღესდღეობით მსოფლიოს არაერთი ქვეყანა და ათასობით ორგანიზაცია უერთდება. კამპანია 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით იმართება და მიზნად ისახავს 16 დღის განმავლობაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული გამოწვევების აქტუალიზაციას.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის პერიოდში ასევე აღინიშნება: უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღე (29 ნოემბერი), შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე (1 დეკემბერი), მოხალისეთა საერთაშორისო დღე (5 დეკემბერი), მონრეალში მომხდარი ტრაგედიის ხსოვნის დღე (6 დეკემბერი) და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე (10 დეკემბერი).

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა: ძირითადი საკითხები

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, გამომწვეულია გენდერული უთანასწორობით, წარმოადგენს ადამიანის უფლების დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას და მნიშვნელოვან დაბრკოლებას გენდერული თანასწორობის მისაღწევად.¹

აღნიშნული პრობლემა გამომწვევას წარმოადგენს საქართველოშიც, სადაც 2017 წლის საქსტატის მონაცემებით, 4-დან 1 ქალს გამოუცდია გენდერული ნიშნით ძალადობის რაიმე ფორმა, 7-დან 1 ქალს გამოუცდია ძალადობა ოჯახში მეუღლის/პარტნიორის მხრიდან.²

საქართველოს ხელისუფლების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით. მათ შორის, დაიხვეწა კანონმდებლობა, შეიქმნა დამატებითი საკანონმდებლო გარანტიები ძალადობის მსხვერპლთათვის და გაძლიერდა ინსტიტუციური მექანიზმები.

საქართველო 2017 წელს გახდა 23-ე ქვეყანა, რომელმაც რატიფიცირება მოახდინა ევროპის საბჭოს კონვენციისა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის შესახებ (სტამბოლის კონვენცია). კონვენცია ძალაში შევიდა 1 სექტემბერს და ის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს ამ სფეროში. კონვენციის

1 იხ. "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია", ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“, პრეამბულა.

2 კვლევა სრულად შეგიძლიათ იხ. ბმულზე: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/03/the-national-study-on-violence-against-women-in-georgia>

რატიფიცირებით საქართველოს ხელისუფლებამ გამოხატა მზადყოფნა და დაადასტურა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებს, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კოორდინაციას უწევს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სამინისტროები და სხვა სამთავრობო სტრუქტურები. თითოეულ უწყებას აქვს უმნიშვნელოვანესი როლი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ იცავს ძალადობის მსხვერპლს და სთავაზობს მას სერვისებს იმისთვის, რომ იყოს ძალადობისგან დაცული და იცხოვროს ძალადობისგან თავისუფალ გარემოში.

აღნიშნულ სერვისებს შორისაა 5 სახელმწიფო თავშესაფარი და 5 სახელმწიფო კრიზისული ცენტრი³ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ უფასო იურიდიული, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, ასევე ისარგებლონ დროებითი საცხოვრისით. ძალადობის მსხვერპლთათვის, ასევე, მოქმედებს ძალადობის მსხვერპლთა დახმარების უფასო საკონსულტაციო ცხელი ხაზი (116-006). ბოლო წლებში განხორციელებულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან მაღალი რისკის მოძალადეების მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის სისტემა ამოქმედდა, რაც დამატებითი დაცვის გარანტიებს ქმნის ძალადობის მსხვერპლთათვის.⁴

ამჟამად მოქმედი კრიზისული ცენტრების მისამართები:

- თბილისის კრიზისული ცენტრი
მის.: ბუდაპეშტის #28
- ქუთაისის კრიზისული ცენტრი
მის.: დუმბაძის# 59-61
- გორის კრიზისული ცენტრი
მის: ბარნოვის ქ. #9ა
- ოზურგეთის კრიზისული ცენტრი
მის. ქ. ოზურგეთი, გრიბოედოვის ქ. 21
- მარნეულის კრიზისული ცენტრი
მის.: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ.#41, ბ.48

ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ფორმას ასევე წარმოადგენს სექსუალური შევიწროება, რომლის წინააღმდეგაც საკანონმდებლო ცვლილებები 2019 წელს განხორციელდა.

2021 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით, CRRC-მ „სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში“ კვლევა ჩაატარა.

3 სახელმწიფო თავშესაფრები ხელმისაწვდომია: თბილისში, სიღნაღში, ქუთაისში, გორსა და ბათუმში

4 დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ბმული <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2020/09/electronic-surveillance-of-high-risk-perpetrators-launches-in-georgia>

კვლევის მიხედვით, საქართველოში საჯარო მოხელეთა 34%-ს საჯარო სამსახურში მუშაობის განმავლობაში სექსუალური შევიწროება გამოუცდია. ყველაზე ხშირად კი სექსუალური შევიწროების მსხვერპლები ახალგაზრდა, 35 წლამდე ასაკის ქალები ხდებიან. ქალი საჯარო მოხელეების 93%-ს სექსუალური შევიწროება სერიოზულ სოციალურ პრობლემად მიაჩნია, კაცების შემთხვევაში კი ასე მხოლოდ 44% ფიქრობს.

2021 წელს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიის ხელმძღვანელობითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ცხრა სახელმწიფო უწყებამ, მათ შორის სამინისტროების 42%-მა სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო მექანიზმები დანერგა.

მიუხედავად განხორციელებული წარმატებული ღონისძიებებისა, პრობლემის აქტუალობა მიგვანიშნებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ეფექტიანად დასაძლევად ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. აუცილებელია მუშაობა ისეთი საზოგადოებრივი ღირებულებების შექმნასა და განმტკიცებაზე, სადაც ქალები და კაცები, გოგონები და ბიჭები არსებითად თანასწორ გარემოში იცხოვრებენ. ამისთვის აუცილებელია ძალისხმევის გაერთიანება და როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის გაძლიერება, ეფექტიანი პოლიტიკის განსახორციელებლად.

რეკომენდაციები მუნიციპალიტეტების მიერ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის დაწყების აღსანიშნავად, 25 ნოემბერს, მერის ან/და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ კამპანიის შესახებ ოფიციალური განცხადების გაკეთება და გამოქვეყნება/ გამუქება, მათ შორის ადგილობრივ მედიასა და მუნიციპალიტეტის სოციალურ მედია საშუალებებში⁵. (განცხადების ნიმუშის სანახავად იხ. დანართი 1)
2. მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო 1 წლის განმავლობაში განხორციელებული გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ანგარიშის და/ან საინფორმაციო ბროშურის მომზადება და გამოქვეყნება.
3. 16 დღის განმავლობაში, სოც. მედია პოსტების მომზადება, სადაც საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გამოქვეყნდება თემატური საინფორმაციო ბროშურები (საინფორმაციო ბროშურები მოცემულია დამხმარე მასალებში)

⁵ საკითხები, რაზეც შეიძლება განცხადებაში ყურადღება გამახვილდეს: მაგ. აღნიშვნა, რომ მუნიციპალიტეტი უერთდება გლობალური კამპანიას, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა იზიარებს კამპანიის სულიწკვეთებს და უცხადებს ნულოვან ტოლერანტობას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა არის ადამიანის უფლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარღვევა; ქალთა მიმართ ძალადობას თან ბრძოლა - მისი პრევენცია და მასზე რეაგირება არის სახელმწიფო პრიორიტეტი.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო თუ მუნიციპალური სერვისების შესახებ. ამისთვის, შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა თავად მოამზადოს მასზე მორგებული სა-ინფორმაციო ინფოგრაფიკა ან/და გამოიყენოს უკვე არსებული.

მაგალითად:

რა ნომერზე უნდა დარეკოთ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში?
 იხ. საინფორმაციო ბროშურა



მაგალითად:

როგორ დავაფიქსიროთ უხმო შეტყობინება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე?

მაგალითად:

სექსუალური შევიწროება ქალთა მიმართ ძალადობის ფორმაა. მსგავსი ქმედება ისტება კანონით.



4. შეხვედრების (ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით შესაძლებელია პირისპირ შეხვედრების ონლაინ შეხვედრებით ჩანაცვლება) ორგანიზება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან, რომლებსაც გენდერზე პასუხისმგებელი პირი მიაწოდებს ინფორმაციას გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის ფენომენის, ასევე არსებული სერვისების შესახებ და სადაც მოხდება აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში მუნიციპალიტეტის როლის შესახებ მსჯელობა.
5. ონლაინ შეხვედრების ორგანიზება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან, მათ შორის შესაძლებელია: სკოლის და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებთან, ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და სხვა. რომლებსაც, გენდერზე პასუხისმგებელი პირი მიაწოდებს ინფორმაციას გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის ფენომენის, ასევე არსებული სერვისების შესახებ.
6. ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ჩატარება (შესაძლებელია ონლაინ ფორმატში), სადაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც საბჭოს წევრები, ისე ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. სხდომაზე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას საბჭოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში, მოსმენილ იქნას ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა რეკომენდაციები. საბჭოზე განხილული და გამოვლენილი საკითხების გაზიარება მოხდება ათეასტვის, ანალიზისა და შემდგომი ღონისძიებების მხარდასაჭერად.
7. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის რეკომენდაციის მიცემა, გაიარონ საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებ. გვერდზე განთავსებული შემდეგი უფასო ონლაინ კურსები გენდერული თანასწორობის შესახებ:
 - a. ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ: <http://genderequality.ombudsman.ge/ka/login>
 - b. ელექტრონული კურსი სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის: <http://sexualharassment.ombudsman.ge/ka/login>
8. 16 დღიანი კამპანიის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო ბროშურის/ანგარიშის მომზადება, რომელიც გაზიარდება სოც. მედია საშუალებების დახმარებით.
9. თემატური საინფორმაციო/საგანმანათლებლო ონლაინ შეხვედრების ჩატარება ახალგაზრდებთან.
10. სასურველია, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გაზიარდეს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მედია-ქსელში: <https://www.facebook.com/groups/www.nala.ge>

16 დღიანი კამპანიის ძირითადი საკომუნიკაციო გზავნილები

საკომუნიკაციო გზავნილები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც მუნიციპალიტეტების მიერ გაკეთებულ ოფიციალური განცხადების ტექსტში, ასევე 16 დღის განმავლობაში განხორციელებული სოც. მედია აქტივობებში.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია

მუნიციპალიტეტი ებრძვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას. იმოქმედე შენც

აღნიშნულ გზავნილში გამოკვეთილია მნიშვნელოვანი ასპექტი, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტია და მკაფიოდ გამოხატავს ამ საკითხებზე მუშაობის პოლიტიკურ ნებას.

მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

აღნიშნული გზავნილით, ძალადობის მსხვერპლები ადგილობრივ ხელისუფლებას, როგორც მხარდამჭერ რგოლს დაინახავენ. მნიშვნელოვანია ამ გზავნილს თან ახლდეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ ძალადობის მსხვერპლთათვის შეთავაზებული ადგილობრივი სერვისების შესახებ. (მაგ. ერთჯერადი თუ მრავალჯერადი დახმარება ძალადობის მსხვერპლთათვის, საცხოვრისით უზრუნველყოფა და ა.შ)

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა გაუმართლებელია და წარმოადგენს დანაშაულს!

დემოკრატიულ, თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში მიუღებელია ძალადობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა გახდეს სოციალურად მიუღებელი ქცევა, ხოლო მოძალადეები - მორალურად მიუღებელი, გასაკიცხი ადამიანები, რომლებიც ვერ ისარგებლებენ ღირსეული მოქალაქის, მეზობლისა თუ კოლეგის სტატუსით.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამომწვევი მთავარი მიზეზი გენდერული უთანასწორობაა

აღნიშნული გზავნილი ხაზს უსვამს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზს: **გენდერულ უთანასწორობას**.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის დაძლევა სახელმწიფოს და საზოგადოების თითოეული წევრის საერთო საქმე და საერთო პასუხისმგებლობაა

აღნიშნული გზავნილით მოვუწოდებთ საზოგადოების თითოეულ წევრს გაემიჯნოს ძალადობას და თვალი არ დახუჭოს მის ირგვლივ მომხდარ ფაქტებზე.

რადგან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საზოგადოების დამოკიდებულებებია, გადამწყვეტი როლი პრობლემის აღმოფხვრასა და პრევენციაში სწორედ საზოგადოებას ეკისრება. მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ თვალის დახუჭვა, გულგრილობა, გვერდზე გადგომა დაუშვებელია და სავალალო შედეგებამდე მივყავართ. თითოეულმა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს, რომ თითოეული ადამიანის ერთი ბარი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს და რომ ძალადობის დაძლევა საერთო საქმეა.

სექსუალური შევიწროება ადამიანის უფლებების დარღვევაა და ისჯება კანონით

ყველა ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს ყოველგვარი ბენოლის, შევიწროების, ძალადობის გარეშე, დამამცირებელი და მტრული გარემოსგან თავისუფალ საზოგადოებაში.

აღნიშნული გზავნილით ერთის მხრივ ვახდენთ საზოგადოების ინფორმირებას იმის შესახებ, რომ 2019 წლიდან სექსუალური შევიწროება ისჯება საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო მეორეს მხრივ ხელს ვუწყობთ მსგავსი ქმედების განხორციელების პრევენციას.

დანართი 1.

განცხადების ნიმუში

— მუნიციპალიტეტი უერთდება 16 დღიან კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ და გზიარებთ ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. (აქ შესაძლებელია დაემატოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელთა ჩატარებასაც დაგეგმავთ)

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა გენდერული უთანასწორობის გამოვლინება და ადამიანის უფლებების ერთ-ერთი გავრცელებული დარღვევაა.

— მუნიციპალიტეტი აცნობიერებს საკუთარ როლს, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და თანასწორი, მტრული გარემოსგან დაცლილი გარემოს შექმნაში. მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით მიღწეული პროგრესისა, პრობლემის მასშტაბის და საფუძვლების გათვალისწინებით, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (აქ შესაძლებელია აღინიშნოს მსხვერპლთათვის მუნიციპალიტეტში არსებული მხარდამჭერი სერვისები).

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის დაძლევა საერთო საქმე და საერთო პასუხისმგებლობაა. მნიშვნელოვანია, საზოგადოების თითოეულმა წევრმა გავაცნობიეროთ, რომ თვალის დახუჭვა, გულგრილობა, გვერდზე გადგომა დაუშვებელია, და რომ თითოეული ადამიანის ერთი ბარი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დასაცავად.

